წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 28

ქ. წალკა; 24.10.2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

.

(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

1. სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 18 ოქტომბრის მომართვა.

2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 18 ოქტომბრის მომართვა წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 950152 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. 85.21.22.565) თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად (მისი გამიჯვნის გზით) 3698 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის გამოყოფის და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის მერიას განიხილოს აღნიშნული მომართვა და დადებითი პოზიციიის შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და არაუგვიანეს მ/წლის 8 ნოემბერს საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინოს შესაბამისი განკარგულების პროექტი თანდართული დოკუმენტებით;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ბიუროს გააცნო აღნიშნული კომისიის დასკვნა. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის თანახმად საკრებულოს წევრის ზვიად გელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს მ/წლის 31 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*